ხელშეკრულება №80
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

22 / მაისი / 2018 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეების შემსრულებლის - მამუკა შამილაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „სპარ“ (ვებ-სტუდია) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის სპარტაკ თიკანაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად 2018-2019 სასწავლო წლისათვის შემსყიდველის დაქვემდებარებაში არსებულ საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის გამართული მუშაობისა და სრულყოფის უზრუნველყოფა, (CPV - 48610000) (შემდგომში - „მომსახურება“);

1.2 აღსაზრდელთა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის გამართული მუშაობისა და სრულყოფისთვის შესრულდება შემდეგი ღონისძიებები, შემდეგი რიგითობით:

- დროებით შეწყდეს პროგრამაში ჩარიცხვები და არა რეგისტრაცია;
- 2018 წლის 01 ივნისიდან პროგრამაში რეგისტრაციის უფლება მიეცეს ყველა იმ აღსაზრდელს, ვისაც მიმდინარე წლის 15 სექტემბრის ჩათვლით უსრულდება 3, 4, და 5 წელი;
- 2018 წლის 15 ივნისიდან 20 ივნისამდე ჩაირიცხონ ბაღიდან ბაღში გადამსვლელი აღსაზრდელები (მობილობა);
- 2018 წლის 20 ივნისიდან 25 ივნისამდე მოხდეს აღსაზრდელების ასაკობრივი დახარისხება;
- 2018 წლის 01 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით მოხდეს საბავშვო ბაღებში სტატუსის მქონე აღსაზრდელების ჩარიცხვა;
- 2018 წლის 15 ივლისიდან მოხდეს რიგითობის მიხედვით დანარჩენი აღსაზრდელების ჩარიცხვა;
- მშობლის მიერ შესავსები სამი ველიდან (პრიორიტეტი 1, პრიორიტეტი 2, პრიორიტეტი 3) ამოღებული იქნას სიტყვა „პრიორიტეტი“;
- მოხდეს პროგრამაში დაარქივებული (ამორიცხული) აღსაზრდელების ამორიცხვის თარიღის დაფიქსირება და შენახვა;
- მოხდეს პროგრამაში სქესობრივი მონაცემის (ბიჭი/გოგო) დამატება;
- მოხდეს პროგრამაში ყველა პრიორიტეტის ცალ-ცალკე დაყოფა;
- პუნქტ „გ“-ში (სტატუსის განმარტება) - სიტყვა „სპეციალური“ შეიცვალოს სიტყვა „სოციალურით“.
- მოხდეს ცვლილების შეტანა „ე“ პუნქტში და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ წარმოდგენილი უნდა იქნეს დიაგნოზი“;
- მოხდეს აღსაზრდელთა რიგითობის დალაგება და დანომრვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) ლარს.

2.2 თუ მიმწოდებელი მომავალში გადაწყვეტს თავისი ვებ-გვერდის სხვა პროგრამულ ან დიზაინერულ განახლებას და განვითარებას, მისი ღირებულება დამატებით განისაზღვრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;
3.2 ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);
3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ორ ეტაპად:

- I – ეტაპი: 700 (შვიდასი) ლარი მომსახურების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ - 01.07.2018;
- II – ეტაპი: 800 (რვაასი) ლარი სამუშაოების მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ 01.08.2017წ;

3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის თითოეულ ეტაპზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების გაწევის ვადა:

4.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება:
ა) ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 10 სექტემბრამდე. ეს ვადა მოიცავს ტექნიკური შემოწმების (ტესტირების) პერიოდსაც.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
5.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.1.2 მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
5.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
5.2.3 მიაწოდოს მიმწოდებელს ტექსტური, გრაფიკული და ფოტო მასალა, რომელიც საჭირო იქნება ვებ-გვერდის სტრუქტურის და დიზაინის დასამზადებლად.
5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
5.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.4.2 განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.
5.4.3 ეტაპობრივად წარუდგინოს შემსყიდველს შესათანხმებლად შესრულებული სამუშაოები და მაქსიმალურად შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი შესაძლო შენიშვნები და სურვილები, რაც უნდა ჯდებოდეს წინასწარ შეთანხმებული სტრუქტურის, დიზაინის და პროგრამული შესაძლებლობების ფარგლებში.
5.4.4 მაღალორგანიზებულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება.
5.4.5 განახორციელოს პროგრამის ტესტირება და უწესივრობების აღმოჩენის შემთხვევაში გამოასწოროს ისინი.
5.4.6 შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მთავარი სპეციალისტი სანიტარულ-ჰიგიენურ დარგში - ნანი მელიქაძე;
6.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური

საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები . იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს , მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით;

8.2 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.3 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. უფლებათა გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა გონივრული ვადა.

11.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.
11.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.
13.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2018 წლის 22 მაისიდან - 2018 წლის 30 ნოემბრამდე;

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებლი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“	შპს „სპარ“
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42	მის: ქ. თბილისი. ვაჟა ფშაველას ქN16
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510	საიდენტიფიკაცო კოდი: 205 290 424
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი”
TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ 740737005	ა/ნ: GE53BG 0000 0008 5552 5500
----------	----------
მამუკა შამილიშვილი	სპარტაკ თიკანაშვილი